თავი 5

დარიცხვის მეთოდი – ტესტები

1. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება:

ა) შესაბამისობისა და პერიოდიზაციის კონცეფციებზე დაყრდნობით;

ბ) ფულის მოძრაობაზე დაყრდნობით;

გ) ორივე პასუხი სწორია.

2. მოთხოვნები წარმოიშობა:

ა) საკასო მეთოდის საფუძველზე;

ბ) დარიცხვის მეთოდის საფუძველზე;

გ) ორივე პასუხი სწორია.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი შემთხვევის დროს აღიარდება შემოსავალი:

ა) კომპანიამ მიიღო დაკვეთა ავეჯის დამზადებაზე და მყიდველისაგან წინასწარ გადმოერიცხა 10.000 ლარი;

ბ) კომპანიამ მოიძია პარტნიორი, რომელმაც ბიზნესში დააბანდა 10.000 ლარი;

გ) ავეჯის კომპანიამ მყიდველს მიაწოდა 10.000 ლარის ღირებულების პროდუქცია, მყიდველი თანხას გადაიხდის 1 თვის შემდეგ.

4. საწარმო შემოსავალს აღიარებს, თუ:

ა) პარტნიორი საწარმოში დააბანდებს ფულს;

ბ) დამკვეთი წინასწარ გადაუხდის დაკვეთის ღირებულების ნაწილს;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

5. ამოარჩიეთ არასწორი პასუხი:

ავეჯის კომპანიას პროდუქციის დასამზადებლად ჭირდება დანადგარი , რომლის შესაძენად ბანკისაგან აიღო გრძელვადიანი კრედიტი. ამ გზით შემოსული ფული საწარმოში აისახება:

ა) აქტივისა და ვალდებულებების სახით;

ბ) აქტივისა და კაპიტალის სახით;

გ) ვალდებულებებისა და კაპიტალის სახით.

6. კომპანიამ შეიძინა ავტომობილი დისტრიბუციისათვის. ამ დროს დახარჯული ფული არის:

ა) კაპიტალური დანახარჯი;

ბ) მიმდინარე დანახარჯი;

გ) ხარჯი.

7. ავეჯის კომპანიამ შეიძინა ხის მასალა . მასში გადახდილი ფული საწარმოსათვის:

ა) მაშინვე წარმოადგენს ხარჯს;

ბ) ხარჯად აღიარდება მაშინ, როცა ამ მასალისაგან დამზადდება პროდუქცია;

გ) ხარჯად აღიარდება მაშინ, როცა ამ მასალისაგან დამზადებული პროდუქცია გაიყიდება.

8. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა:

საწარმო "X"-მა 20X2 წლის 31 მარტს შეიძინა შემდგომი 6 თვის საქონლის მარაგი 100.000 ლარის ოდენობით. აპრილის თვეში გაიყიდა 15.000 ლ-ის საქონელი.

ა) საწარმო "X"-მა აპრილის თვეში ხარჯად აღიარა 15.000 ლარი;

ბ) საწარმო "X"-მა 31 მარტს ხარჯად აღიარა 100.000 ლარი;

გ) საწარმო "X"-ს აპრილის ბოლოს გააჩნია 85.000 ლ-ის აქტივი საქონლის სახით.

9. თუ საწარმო მომავალში მისაღები მომსახურებისათვის დღეს იხდის ფულს, მაშინ გადახდილი ფული აისახება როგორც:

ა) აქტივი;

ბ) ხარჯი;

გ) ვალდებულება.

10. თუ საწარმო დამკვეთისაგან იღებს ფულს დღეს, ხოლო შესაბამისი ღირებულების პროდუქციას აწვდის შემდგომში, მაშინ მიღების დროს ეს ფული აისახება როგორც:

ა) კაპიტალი;

ბ) შემოსავალი;

გ) ვალდებულება.

დარიცხვის მეთოდი – ამოცანები

ამოცანა №1

ქვემოთ მოცემულია შპს "X"-ში 20X2 წლის მარტის თვეში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები.

<u>დავალება:</u> *თითოეულ სამეურნეო ოპერაციისათვის:*

1. *შეარჩიერთ ელემენტები, რომლებზეც იმოქმედებს ოპერაცია;*
2. *ასახეთ სამეურნეო ოპერაციის მოქმედება შერჩეულ ელემენტებზე ზრდის ან კლების თვალსაზრისით. გამოიყენეთ დარიცხვის მეთოდი;*

1. *02.03 - მყიდველს (საწარმო "ა"-ს) მიაწოდა 260 ლარიანი პროდუქცია 400 ლარად. მყიდველმა ღირებულება დაუყონებლივ გადაიხადა სალაროში.* ***<u>ნიმუში:</u>***

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
02.03.	რეალიზაციის ოპერაცია	+ 400 - 260				+ 400	+ 260

2. *05.03 - მყიდველისაგან (საწარმო "ბ") მიღებულია ავანსად 650 ლარი.*

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
05.03.	მყიდველებისგან მიღებული ავანსები						

08.03 - "ბ" საწარმოს მიაწოდა 420 ლარიანი პროდუქცია 650 ლარად.

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
08.03.	რეალიზაციის ოპერაცია						

3. *10.03 - საწარმომ მყიდველს (საწარმო "გ") მიაწოდა კრედიტში (10 დღეში გადახდის პირობით) 520 ლარიანი პროდუქცია 800 ლარად.*

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
10.03.	რეალიზაცია კრედიტში						

20.03 – მიღებულია "გ" საწარმოსგან 800 ლარი.

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
20.03.	დებიტორისგან ფულის მიღება						

4. *01.04 – საწარმო "X"-მა გაასესხა „ა" საწარმოზე 100,000 ლარი და დადო შემდეგი შეთანხმება: პროცენტის თანხას (თვეში 5%-იანი განაკვეთით) მიიღებს ყოველი თვის ბოლო დღეს და ძირითად თანხას დაიბრუნებს ერთი წლის შემდეგ. ასახეთ ცვლილებები "X" საწარმოს აღრიცხვაში 1 აპრილსა და 30 აპრილს.*

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
01.04.	ფულის გასესხება						
30.04.	სესხის პროცენტის მიღება						

5. *01.04 – საწარმო "X"-მა გაასესხა „ბ" საწარმოზე 100,000 ლარი და დადო შემდეგი შეთანხმება: პროცენტის თანხას (თვეში 5%-იანი განაკვეთით) მიიღებს ყოველი სამი თვის თავზე და ძირითად თანხას დაიბრუნებს ერთი წლის შემდეგ.*

ასახეთ ცვლილებები საწარმოს აღრიცხვაში:

ა) 01 – აპრილი;
ბ) 30 – აპრილი;
გ) 31 – მაისი;
დ) 30 – ივნისი;
ე) 5 – ივლისის, როცა საწარმო მიიღებს პირველი სამი თვის პროცენტის თანხას.

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
01.04.	ფულის გასესხება						
30.04.	პერიოდის შესაბამისად %-ის შემოსავლის აღიარება						
31.05.	პერიოდის შესაბამისად %-ის შემოსავლის აღიარება						
30.06.	პერიოდის შესაბამისად %-ის შემოსავლის აღიარება						
02.07.	დებიტორისგან ფულის მიღება						

ამოცანა №2

საწარმო "X"-ის მიერ 20X2 წლის მარტის თვეში განხორციელებული ოპერაციები:

01 მარტს *- შ.პ.ს. "X"-ის ადმინისტრაციამ დაცვის სამსახურს წინასწარ გადაურიცხა მარტისა და აპრილის მომსახურების ღირებულება 400 ლარი. გაითვალისწინეთ, რომ დაცვის სამსახურთან 20X2 წლისათვის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ყოველთვიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 200 ლარს.*

01 მარტს *- საწარმომ ბანკისაგან აიღო სესხი 20.000 ლარი თვიურ 4%-ად და მოხდა შეთანხმება, რომ ორი თვის შემდეგ გადაუხდის ერთად პროცენტსა და ძირითად თანხას.*

02 მრტს *- შ.პ.ს. "X"-მა ფულის გადახდით შეიძინა 80.000 ლარად ღირებული შენობა ადმინისტრაციული დანიშნულებით და 3.800 ლარის ღირებულების საქონელი.*

03 მარტს *- საწარმომ ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდა 1.800 ლარის ღირებულების საქონელი 2.400 ლარად.*

02 მაისს - საწარმო იხდის სესხის ძირითად თანხას და მასთან ერთად ორი თვის სარგებელს (პროცენტს).

დავალება: *თითოეულ სამეურნეო ოპერაციისათვის:*

1. *შეარჩიერთ ელემენტები, რომლებზეც იმოქმედებს ოპერაცია;*
2. *ასახეთ სამეურნეო ოპერაციის მოქმედება შერჩეულ ელემენტებზე ზრდის ან კლების თვალსაზრისით. გამოიყენეთ დარიცხვის მეთოდი;*

თარიღი	*სამეურნეო ოპერაციები*	*აქტივები*	*ვალდებულებები*	*საკუთარი კაპიტალი*		*შემოსავლები*	*ხარჯები*
				პარტნიორთა კაპიტალი	მოგება		
01.03	დაცვის მომსახურების წინასწარ ანაზღაურება						
01.03	სესხის აღება						
02.03	შემობისა და საქონლის შეძენა						
03.03	საქონლის გაყიდვა						
31.03	დაცვის მომსახურების ხარჯად აღიარება						
31.03	სესხის %-ის ხარჯად აღიარება						
30.04	დაცვის მომსახურების ხარჯად აღიარება						
30.04	სესხის %-ის ხარჯად აღიარება						
02.05	სესხის და %-ს გადახდა						